"რუსული სამყარო" საქართველოში

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

“რუსული სამყარო” საქართველოში

ავტორი: მარიამ პატარიძე
რედაქტორი: თამარ კინწურაშვილი

www.mdfgeorgia.ge
მედიის განვითარების ფონდი, 2019

შესავალი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში რუსული რბილი ძალის მოქმედების და ამ პროცესში ჩართული აქტორების შესახებ ინფორმაციის შესწავლას.

კვლევა ღია წყაროებზე დაყრდნობით განხორციელდა და ძირითადად რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე შექმნილ ფონდ „რუსული სამყაროს" («Русский мир») ვებ-გვერდს[1], ასევე იმ ორგანიზაციების შესახებ არსებულ ღია ინფორმაციას ეფუძნება, რომლებიც "რუსულ სამყაროს" პარტნიორთა ნუსხაში ჰყვას მითითებული. დოკუმენტური ანალიზი მოიცავდა საჯარო რეესტრის მონაცემებს, ასევე მედიაში ამ ორგანიზაციების აქტივობების გაშუქებაზე დაკვირვებასაც.

[1] https://russkiymir.ru/

სარჩევი

მთავარი მიგნებები.....4
ფონდ "რუსული სამყარო"-ს შესახებ.....5
ფონდ "რუსული სამყაროს" პარტნიორი ორგანიზაციები საქართველოში.....7

I. **კრემლის პოლიტიკური პროექტები საქართველოში**.....9
1.1. "უკვდავი პოლკის მსვლელობა" საქართველოში.....9
1.2. ,,გეოგევსკის ლენტების" აქცია 16
1.3. "აქარის გათავისუფლებასთან" დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები.....18
1.4. რუსეთის დღის აღნიშვნა.....18
1.5 კრემლის პროექტების მხარდამჭერი სხვა ქართველი აქტორები.....18
1.6. მედია პარტნიორები 23

II. **კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობები**.....24
2.1 რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღებაში დახმარება.....24
2.2. რუსული ენის შემსწავლელი უფასო პროექტი "Русский уголок".....25
2.3. სათემო გამოცემები ("რუსული კლუბი") 25

პროფილები.....28

მთავარი მიგნებები

კვლევის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:

- ფონდი „რუსული სამყარო” (Фонд «Русский мир») რუსეთის პრეზიდენტის, **ვლადიმერ პუტინის** ბრძანების საფუძველზეა შექმნილი და მის მმართველიბით რგოლებში რუსეთის ხელისუფლების მაღალი რანგის პოლიტიკური თანამდებობის პირები არიან.
- ფონდ “რუსულ სამყაროს” პარტნიორებში საქართველოდან 46 სუბიექტი ჰყავს მითითებული, თუმცა რამდენიმე აკადემიურ დაწესებულებას ფონდთან ინსტიტუციონალური თანამშრომლობა არ აკავშირებს და მხოლოდ მათი ცალკეული თანამშრომლები ინდივიდუალაურად ესწრებიან ფონდის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს.
- ‘’რუსულ სამყაროს” პარტნიორი ორგანიზაციები საქართველოში, ძირითადად ორი ტიპის აქტივობებს ახორციელებენ: კრემლის პოლიტიკური პროექტების მხარდაჭერა-ორგანიზება და საგანმანათლებლო-კულტურული პროექტები.
- ‘’რუსულ სამყაროს” პარტნიორი ორგანიზაციები საქართველოში ძირითად კრემლის ისეთი პოლიტიკური პროექტების ორგანიზებასა და განხორციელებაში მონაწილეობენ, როგორიცაა საქართველოში ფაშიზმზე გამარჯვების დღის 9 მაისის აღნიშვნასთან დაკავშირებით რუსული “უკვდავი პოლკის” ქართული „დანაყოფის“ მსვლელობა, ,,გეორგევსკის ლენტების” დარიგება სხვადასხვა ქალაქებში, “აჭარის ოსმალეთის იმპერიისგან გათავისუფლებასთან” დაკავშირებული ღონისძიებები.
- “უკვდავი პოლკის” მსვლელობები საქართველოს სხვადასხვა ქალაქების გარდა რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოშიც იმართება. “უკვდავი პოლკის” ვებ-გვერდზე განთავსებული ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც მარში იმართება, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ ქვეყნებადაა მოხსენიებული.
- “უკვდავი პოლკის” 2019 წლის მსვლელობის ორგანიზატორია ევრაზიული კავშირის დამფუძნებელი გულბაათ რცხილაძე. მსვლელობის უერთდება „ახალი სოციალისტური მოძრაობის“ თავმჯდომარე თემურ ფიფია და ,,ისტორიული მემკვიდრეობის” დამფუძნებელი, ტარას გაგნიძე, რომელიც ანტიდასავლური გამოცემა “საქართველო და მსოფლიოს” მფლობელია.
- 9 მაისს მსვლელობას 5 სხვადასხვა ქალაქში ასევე სხვა ორგანიზაციებიც აანონსებენ, როგორიცაა საქართველოს სლავ ხალხთა ეროვნული კონგრესი და მრავალეროვნულ საქართველოს ანტიფაშისტური კოალიცია.
- იკვეთება ფონდ “რუსული სამყაროს” პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლობა კრემლის სხვა აქტორებთან, როგორიცაა „პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი“, ,,ევრაზიული ინსტიტუტი”, ,,ისტორიულ მემკვიდრეობობა”, ასევე ეთნონაციონალისტურ ჯგუფებთან (პოლიტიკური გაერთიანება “ქართული იდეა”), რაც კრემლის აქტორებსა და ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს შორის კავშირებზე მიუთითებს.
- კრემლის პროექტების საქართველში განხორციელების პროცესში აქტიურად ფიგურირებს ორგანიზაცია “ისტორიული მემკვიდრეობა” (გამოცემა “საქართველო და მსოფლიო”) და მისი საზოგადოებრივი საბჭოს წევრი, მოსკოვში მოღვაწე პოლიტოლოგი ალექსანდრ ჭაჭია, რომელიც რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ღირსების ორდენით ჰყავს დაჯილდოვებული.
- ფონდ “რუსული სამყაროს” მიერ განხორციელებული **საგანმანათლებლო/კულტურული** აქტივობები ძირითადად რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღების შესაძლებლობას, რუსული ენის შემსწავლელი უფასო კურსების ორგანიზებას, კულტურული და ლიტერატურული საღამოებისა და კონფერენციების ორგანიზებას, ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და სხვა ღონისძიებებს აერთიანებს.
- კრემლისტური მედია წყაროების ცნობით, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოდან დაახლოებით 500 სტუდენტი სწავლობს. 2019 სასწავლო წელს კი საქართველოსთვის 120 ადგილია გამოყოფილი.
- ფონდ “რუსული სამყაროს” გარდა, საქართველოში რუსული სათემო ორგანიზაციების გამოცემებს პარტია ქართული ოცნების თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილის დაფუძნებული “ქართუ ბანკიც” აფინანსებს.

ფონდ "რუსული სამყარო"-ს შესახებ

ფონდი „რუსული სამყარო" (Фонд «Русский мир») 2007 წლის 21 ივნისს რუსეთის პრეზიდენტის, **ვლადიმერ პუტინის** ბრძანების[2] საფუძველზე დაფუძნდა და მის მმართველობით რგოლებში რუსეთის ხელისუფლების მაღალი რანგის პოლიტიკური თანამდებობის პირები, ასევე რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენლები არიან.
რუსეთის ფედერაციის სახელით ფონდის დამფუძნებლები არიან:

- რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- რუსეთის ფედერაციის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

სამეურვეო საბჭოს წევრებს[3] შორის არიან საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, რუსეთის საპატრიარქოს მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევი, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე კოსაჩოვი და სხვები. ფონდის თავჯდომარეა ვიაჩესლავ მოლოტოვის შვილიშვილი, რუსეთის ფედერაციის დუმის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ვიაჩესლავ ნიკონოვი[4]. ფონდი დაფინანსებას რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტიდან იღებს და სამეურვეო საბჭოს წევრებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ნიშნავს.



[2] 21 июня 2007 года № 796, УКАЗ ПРЕЗИДЕНТА РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ О СОЗДАНИИ ФОНДА «РУССКИЙ МИР» https://www.russkiymir.ru/fund/the-decree-of-the-president-of-the-russian-federation-on-creation-of-fund-russian-world.php#1
[3] https://www.russkiymir.ru/fund/the-board-of-trustees/
[4] http://v-nikonov.ru/

ფოტო. 1 რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ბრძანება ფონდ “რუსული სამყაროს” დაფუძნების შესახებ.



УКАЗ

ПРЕЗИДЕНТА РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ

О создании фонда "Русский мир"

В целях популяризации русского языка, являющегося национальным достоянием России и важным элементом российской и мировой культуры, а также для поддержки программ изучения русского языка за рубежом постановляю:

1. Считать целесообразным создание фонда "Русский мир" (далее – фонд).

2. Установить, что:

учредителями фонда от имени Российской Федерации являются Министерство иностранных дел Российской Федерации и Министерство образования и науки Российской Федерации;

имущество фонда формируется за счет средств федерального бюджета, добровольных имущественных взносов и пожертвований, а также иных источников в соответствии с законодательством Российской Федерации.

3. Учредителям фонда утвердить устав фонда, предусмотрев в нем, в частности, что:

оперативное управление фондом осуществляет правление фонда, члены которого назначаются Президентом Российской Федерации;

правление фонда возглавляет исполнительный директор, назначаемый Президентом Российской Федерации;

надзор за деятельностью фонда, принятием органами фонда решений и обеспечением их исполнения, использованием средств фонда и соблюдением им законодательства Российской Федерации осуществляет попечительский совет фонда, председатель и члены которого назначаются Президентом Российской Федерации.



2

4. Утвердить прилагаемые:

состав правления фонда "Русский мир";

состав попечительского совета фонда "Русский мир".

5. Правительству Российской Федерации обеспечить:

определение состава федерального имущества, передаваемого фонду его учредителями, и передачу указанного имущества фонду;

размещение фонда в г. Москве;

направление в 2007 – 2010 годах средств федерального бюджета фонду для осуществления его деятельности.

6. Настоящий Указ вступает в силу со дня его подписания.

Президент
Российской Федерации В.Путин

Москва, Кремль
21 июня 2007 года
№ 796

ფონდის სახელწოდება “რუსული სამყაროს” კონცეფციას უკავშირდება, რომელსაც რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ორი მნიშვნელობა აქვს. ანტონ შეხოვცოვი განმარტავს[5], რომ ერთი მხრივ, "რუსული სამყაროს" ნაწილი ყველა ის რუსულენოვანი ხალხია, რომლებიც რუსეთის საზღვრებს გარეთ დასავლეთის ქვეყნებში ცხოვრობენ და იქ რუსული რბილი ძალის მნიშვნელოვან აგენტებს წარმოადგენენ. მეორე მხრივ კი, "რუსული სამყარო" არის გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომელიც აღმოსავეთ ევროპის ქვეყნებს რუსული გავლენისა და ორბიტის ქვეშ მოიაზრებს და რუსეთისთვის ჩარევის უფლებას ითვალისწინებს, თუ აღნიშნული ქვეყნები რუსეთისთვის მიუღებელ საგარეო კურსს აირჩევენ. რუსეთის შიგნით კი "რუსული სამყაროს" კონცეფცია რუსული ცივილიზაციის გამორჩეულობაზე უსვამს ხაზს.

“რუსული სამყაროს” კონცეფცია რუსული პოლიტიკის შემადგენელია და ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის გზით პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. თანამშრომლობის ამ პროცესში ღირებულებები პოლიტიკის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ . რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და “რუსული სამყარო” რუსული რბილი ძალის

[5] Anton Shekhovtsov, August 28, 2015, *The Russian World will destroy Russia* http://anton-shekhovtsov.blogspot.com/2014/08/the-russian-world-will-destroy-russia.html

სულიერი და ინტელექტუალური კომპონენტებია.[6]

ფონდი "რუსული სამყარო" სხვადასხვა ქვეყანაში რუსული დიასპორის მობილიზებას საგანმანათლებლო თუ კულტურული პროექტების მეშვეობით ახდენს და ამ დიასპორული „საცეცებით" მეზობელ სახელმწიფოებზე გავლენის მოხდენას ცდილობს. ფონდი რუსული ფულის მეშვეობით რუსული პოლიტიკის დისტრიბუციას სხვადასხვა ქვეყანაში ახდენს და ცდილობს საზღვარგარეთ რუსული დიასპორის „არსებობა" რუსულ „გავლენად" აქციოს.[7]

"რუსული სამყაროს" მისიის განაცხადის თანახმად[8], ფონდის მიზნებს შორისაა:

- რუსული ენის, როგორც რუსეთის ეროვნული საგანძურისა და რუსეთისა და მსოფლიო კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტის, პოპულარიზაცია.
- რუსეთსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში რუსული ენის შემსწავლელი პროგრამების ხელშეწყობა.
- რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგთა გაერთიანებების მხარდაჭერა როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.
- თანამედროვე რუსეთის და რუსი თანამოქალაქეების შესახებ ობიექტური ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა და ამ მიზნით რუსეთის მიმართ კეთილგანწყობილი საზოგადოებრივი აზის ფორმირება;
- საზღვარგარეთ რუსული დიასპორების საქმიანობის ხელშეწყობა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და რუსული ენის შესწავლის მიზნით;
- უცხოური რუსულენოვანი და რუსული მედიის მხარდაჭერა და ფონდის მიზნების მისაღწევად საინფორმაციო რესურსების მობილიზება.
- რუსული ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით თანამშრომლობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და სხვა კონფესიებთან.

2017 წლის ანგარიშის[9] მიხედვით, ფონდს მსოფლიოში 110 მოქმედი ცენტრი აქვს გახსნილი, საიდანაც ყველაზე მეტი - 47 ევროპაში ფუნქციონირებს.

ფონდ "რუსული სამყაროს" პარტნიორი ორგანიზაციები საქართველოში

ვლადიმერ პუტინის მიერ 2007 წელს დაფუძნებულ ფონდ "რუსულ სამყარო"-ს (Русский мир) ვებ-გვერდზე საქართველოდან პარტნიორთა ჩამონათვალში 46 სუბიექტია მითითებული[10], რომელთაგან 6 ინდივიდუალური პირია. მათგან 2-ის შემთხვევაში იდენტიფიცირებულია, რომ ისინი რუსული ენის და ლიტერატურის პედაგოგები არიან[11].

''რუსულ სამყაროს" პარტნიოთა ჩამონათვალში მითითებული აქვს ისეთი ორგნიზაციები, რომელთაც ინსტიტუციონალური თანამშრომლობა ფონდთან არ აკავშირებთ, მათ შორისაა ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავისტიკის დეპარტამენტი. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის წერილში აღნიშნულია, რომ დეპარტამენტი, როგორც უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ერთეული, არ წარმოადგენს ფონდის "რუსული სამყარო" პარტნიორს, თუმცა დეპარტამენტის ინდივიდუალური წევრები ფონდის

---

[6] Nicolai N. Petro, March 23, 2015, *Russia's Orthodox Soft Power* https://www.carnegiecouncil.org/publications/articles_papers_reports/727

[7] Mikhail Suslov, July 2017, *"Russian World: Russia's Policy towards its Diaspora",* https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/suslov_russian_world_2017.pdf

[8] *Фонд «Русский мир»* https://www.russkiymir.ru/fund/

[9] *ОТЧЁТ о деятельности фонда «Русский мир»*, 2017 https://russkiymir.ru/events/docs/report_2017.pdf

[10] https://russkiymir.ru/catalogue/catalog.php?country=76

[11] 1.ბერელიძე ლოლიტა - რუსული ენის პედაგოგი, 2. კოჭლაძე ნატალია - რუსული ენის პედაგოგი, 3. კობერიძე მეგი, 4.მამედოვა ლეილა, 5. ნესტოროვა ინნა, 6. ლორთქიფანიძე ირინა.

ცალკეულ აქტივობებში ინდივიდუალურად თანამშრომლობენ. აქტივობები მოიცავს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთაშორისო კონკურსებს, რუსული ენის სახელმძღვანელოს შექმნა-გამოცემას და სხვ.

“რუსული სამყაროს” პარტნიორთა ჩამონათვალში მითითებული ორგანიზაციების აქტივობებზე ინფორმაცია ძირითადად ან პირდაპირ რუსეთის ხელისუფლების მიერ დაფუძნებულ (სპუტნიკ-საქართველო) ან კრემლისტური სარედაქციო პოლიტიკის მედია საშუალებებში (საქართველო და მსოფლიო, საქინფორმი, პატრიოტი ტვ) გვხვდება. მედია გაშუქების საფუძველზე ყველაზე აქტიური 5 ორგანიზაცია გამოვყავით, რომლებიც ძირითადად ორი ტიპის აქტივობებში არიან ჩართულნი:

- კრემლის პოლიტიკური პროექტები,
- საგანმანათლებლო-კულტურული პროექტები.

ინფოგრაფიკა 1. “რუსული სამყაროს” პარტნიორი 5 ორგანიზაცია და მათი აქტივობების მხარდამჭერი მედიები

I. კრემლის პოლიტიკური პროექტები საქართველოში

‘’რუსულ სამყაროს” პარტნიორი ორგანიზაციები საქართველოში ძირითად კრემლის პოლიტიკური პროექტების ორგანიზებასა და განხორციელებაში მონაწილეობენ, როგორიცაა საქართველოში ფაშიზმზე გამარჯვების დღის 9 მაისის აღნიშვნასთან დაკავშირებით რუსული “უკვდავი პოლკის” ქართული „დანაყოფის“ მსვლელობა, ,,გეორგევსკის ლენტების” დარიგება სხვადასხვა ქალაქებში, “აჭარის ოსმალეთის იმპერიისგან გათავისუფლებასთან” დაკავშირებული ღონისძიებები.

1.1. “უკვდავი პოლკის მსვლელობა” საქართველოში

ფაშიზმზე გამარჯვების დღე საქართველოში 2019 წელს “უკვდავი პოლკის”[12] მსვლელობით აღინიშნება.

“უკვდავი პოლკის” შექმნის იდეა 2007 წელს რუსეთში[13] გაჩნდა, 2015 წლიდან კი ამგვარი მსვლელობების ჩატარება სხვა ქვეყნებშიც დაიწყეს. ტრადიციულად, მარში რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოშიც იმართება. “უკვდავი პოლკის” ვებ-გვერდზე[14] განთავსებული ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც მარში იმართება, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ ქვეყნებადაა მოხსნიებული.



2017 წელს “უკვდავი პოლკის” აქციაში მონაწილეობა რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმაც მიიღო[15], რომელსაც მამის პორტრეტი ეჭირა. მოსკოვიდან დაფინანსებული ეს მოძრაობა, როგორც თავად რუსეთის პრეზიდენტი ამბობს[16], “საერთაშორისო თანამშრომლობის უზარმაზარი პოტენციალია

---

[12] ოფიციალურად უკვდავი პოლკის იდეა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მებრძოლების ხსოვნისადმი პატივის მიგებას ისახავს მიზნად. მარშის მონაწილეები მსვლელობას აწყობენ საკუთარი ნათესავების ფოტოებით ხელში, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში დაიღუპნენ.

[13] https://www.moypolk.ru/ustav-polka

[14] https://iregiment.com/

[15] http://kremlin.ru/events/president/news/54473

[16] https://www.pravda.ru/news/society/1331410-putin/

ისტორიული ჭეშმარიტებისა და საერთო მეხსიერების დასაცავად, ხალხების დასაახლოვებლად და ორმხრივი ნდობის გასაძლიერებლად”.

“რუსული სამყაროს” საქართველოში მოქმედი პარტნიორი ორგანიზაციების მთავარი პოლიტიკური აქტივობაა ,,Бессмертный полк Грузии”- ქართული უკვდავი პოლკის მსვლელობა, რომელიც საქართველოში 2019 წელს მესამედ გაიმართება[17]. ღონისძიების წინასაორგანიზაციო შეხვედრა 2019 წლის 2 მაისს თბილისში ჩატარდა და მსვლელობა კუს ტბიდან ვაკის პარკამდე 2019 წლის 9 მაისს დაანსონდა. მსვლელობის ორგანიზატორია[18] ევრაზიული კავშირის დამფუძნებელი გულბაათ რცხილაძე. მსვლელობის უერთდება „ახალი სოციალისტური მოძრაობის“ თავმჯდომარე თემურ ფიფია და ,,ისტორიული მემკვიდრეობის” დამფუძნებელი, ტარას გაგნიძე, რომელიც ანტიდასავლური გამოცემა “საქართველო და მსოფლიოს” მფლობელია. როგორც ორგანიზატორები განმარტავენ, წინა წლებისგან განსხვავებით ღონისძიებას არა იმიტაციის, არამედ რეალური მსვლელობის სახე ექნება.

ფოტო: სპუტნიკ-საქართველო[19]

[17] https://bit.ly/2VJtoj7
[18] https://bit.ly/2YghAT5
[19] https://sputnik-georgia.ru/society/20190502/245116705/Po-tsentralnomu-prospektu-Tbilisi-proydet-gruzinskiy-Bessmertnyy-polk.html



Гулбаат Рцхиладзе
3 მაისი, 13:50-ზე

მეგობრებო,
გიწვევთ ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად მსვლელობაში, "საქართველოს უკვდავი ჯარის" ფორმატით, 9 მაისს, დილის 10 საათზე, თბილისში, კუს ტბის ასახვევთან (უკრაინის საელჩოს უკან). "საქართველოს უკვდავი ჯარი" (რუსული ვერსია: "Бессмертный полк") არის ანალოგი საერთაშორისო მოძრაობისა, თავისი ქართული სპეციფიკითა და სრული ავტონომიით. 1941-45 წლების დიდ სამამულო ომში მონაწილე ჩვენი წინაპრების, ასევე საბჭოთა კავშირის ქართველი გმირების პორტრეტებით დავიძრებით ვაკის პარკისკენ, ჩავუვლით საელჩოებს, ფეხბურთის ფედერაციას, უცხო ენების ინსტიტუტს და ვაკის პარკის კოლონებიანი შესასვლელიდან კიბეებზე ჩავალთ პარკში, სადაც სხვა მოზეიმე საზოგადოებაც იქნება, მემარცხენე პატრიოტები და, რაც მთავარია, საკუთრივ ომის ცოცხალი ვეტერანები, რომლებიც ცოტანი დარჩნენ და რომელთაც ყოველთვის თბილი სიტყვები უნდა ვუთხრათ (სიტყვების გარდაც გაგვიკეთებია ზოგი რამ, მაგრამ ეგ ცალკე იყოს). ჩვენს კოლონას უერთდებიან შიდა ქართლის პატრიოტი ადამიანები, თბილისელებთან ერთად. კარი ყველასათვის ღიაა, მით უმეტეს, რომ ქუჩაში ვიქნებით და კარი არც არის:))

თავის მხრივ, 2019 წლის 9 მაისს მსვლელობას 5 სხვადასხვა ქალაქში (თბილისი, ბათუმი,გორი, ახალქალაქი, ნინოწმინდა) აქტიურად აანონსებენ საქართველოს სლავ ხალხთა ეროვნული კონგრესის დირექტორი ანჟელიკა ზახაროვა და მისი მეუღლე, ამავე ორგანიზაციის გამგეობის წევრი და მრავალეროვნულ საქართველოს ანტიფაშისტური კოალიციის დირექტორი რევაზ გოგიძე. ანჟელიკა ზახაროვასა და რევაზ გოგიძის მიერ რუსული უკვდავი პოლკის ქართული დანაყოფის პირველი მსვლელობა თბილისში 2017 წელს ჩატარდა[20].

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით[21], 9 მაისის მსვლელობას ვაკის პარკში პარტია “ჩვენი სამშობლოს” წევრი ტრისტან წითელაშვილიც[22] უერთდება.

[20] https://bit.ly/2LwjIVf
[21] https://bit.ly/2Yh1gBr
[22] http://mythdetector.ge/ka/profile/citelashvili-tristan

Бессмертный полк Грузии-მ დაამატა ღონისძიება
17 სთ.
2019 წლის 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაულთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე, შეკრებილმა მოქალაქეებმა, ვეტერანებმა და მათი ოჯახის წევრებმა, სამამულო ომში დაღუპული გმირი წათესავების სურათების თანხლებით, ჩაატარებენ მშვიდობიან მსვლელობას ვაკის პარკის ცენტრალურ შემოსასვლელიდან მარადიულ ცეცხლამდე..
ხუთ, 9 მაისი 10:00-ში
საქართველოს უკვდავი პოლკი
თბილისი, ვაკის პარკი Georgia
3 ადამიანი მიდის
★ დაინტერესებულია
13
3 კომენტარი

Национальный конгресс славянских народов Грузии
1 მაისი, 09:01-ზე
ხუთ, 9 მაისი 10:00-ში
Бессмертный полк Грузии - 2019
Tbilisi
32 ადამიანია დაინტერესებული
★ დაინტერესებულია

Antifashist Georgia
1 მაისი, 09:01-ზე
ხუთ, 9 მაისი 10:00-ში
Бессмертный полк Грузии - 2019
Tbilisi
37 ადამიანია დაინტერესებული
★ დაინტერესებულია
მომწონს
კომენტარი
გააზიარეთ

ფოტო: პატრიოტი TV[23]

2018 წლის 9 მაისს უკვდავი პოლკის მსვლელობა თბილისში, ბათუმსა და გორში გაიმართა. პოლკის წევრებს მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპული ოჯახის წევრების პორტრეტები, "გეორგიევსკის ლენტები" და დროშები მოჰქონდათ, წმინდა გიორგის გერბით და წარწერით საქართველოს უკვდავი პოლკი, ქართულ და რუსულ ენებზე.

[23] http://patrioti-tv.ge/sazogadoeba/666--.html

2018 წლის მსვლელობაში მონაწილეობას **რუს თანამემამულეთა საერთაშორისო კავშირი "ოტჩიზნა"** და **სლავ ხალხთა ეროვნული კონგრესი** იღებდა. აქციას სპუტნიკ-საქართველო აანონსებდა[24].

ფოტო სპუტნიკ-საქართველი: ვალერი სვარჩუკი, რევაზ გოგიძე

ფოტო სპუტნიკ-საქართველო: ვალერი სვარჩუკი, ირინა სვარჩუკი

2018 წლის 9 მაისის ღონისძიებაში, რომელიც ვაკის პარკში ჩატარდა, **რუსი თანამემამულეების საკოორდინაციო საბჭოს** წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ[25]. საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელმა მდივანმა ალექსანდრე ბეჟენცევმა, რომელიც ასევე **რუსი ახალგაზრდების კავშირის ხელმძღვანელია**, რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მილოცვა წაიკითხა.

[24] https://sputnik-georgia.com/pressclub/20180501/240289545/aqcia-ukvdavi-polki.html
[25] https://bit.ly/2WwEh4S

ფოტო სპუტნიკ-საქართველო: ალექსანდრე ბეჟენცევი.

აქციაში მონაწილეობდა საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ სვენტიცკი, რომელიც გრიბოედოვის თეატრის დირექტორი და **საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის "რუსული კლუბის"** დამფუძნებელია.

"რუსული სამყაროს" პარტნიორი ორგანიზაციები აჭარის ტელევიზიის წინააღმდეგ. 2018 წლის 9 მაისს, ევროპის მოედანზე გამართულ აქციას აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებიც ესწრებოდნენ. დავით ტრაპაიძემ და გიორგი წეროძემ საბჭოთა კავშირის ამსახველი სიმბოლიკების და ფოტოების გამოყენება გააპროტესტეს და მონაწილეებს კანონის დაცვისკენ მიუთითეს[26].

აღნიშნული ფაქტის შემდეგ, 2019 წელს არხის ხელმღძვანელის ნათია კაპანაძის იმპიჩმენტი პრორუსულმა ძალებმა საკუთარ გამარჯვებად მიიჩნიეს და ფეისბუკ გვერდზე განცხადებაც გაავრცელეს.



[26] http://tv25.ge/news.php?lang=ge&id=6870



1.2. ,,გეოგევსკის ლენტების" აქცია

,,Бессмертный полк Грузии" ფეისბუკ გვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსული უკვდავი პოლკის ქართული დანაყოფის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ანჟელიკა ზახაროვამ საქართველოს პრემიერ მინისტრს მიმართა და 2019 წლის 9 მაისის მსვლელობაზე ,,გეორგევსკის ლენტების" გამოყენების ნებართვა ითხოვა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით[27], საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა საბჭოური სიმბოლიკის გამოყენებაზე "უკვდავთა პოლკს," ასევე სხვა ორგანიზაციებს გაფრთხილება გაუგზავნა, რომ ნებისმიერი პირის მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, კანონის შესაბამისად იმოქმედებენ.

[27] https://bit.ly/2J5CTDm

საქართველოს კანონის ,,თავისუფლების ქარტიის" მიხედვით, აკრძალულია[28] კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკა, აგრეთვე კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი სიმბოლიკა და პროპაგანდის სხვა საშუალებები. ამავე კანონით, კომუნისტური ტოტალიტარული სიმბოლიკა განმარტებულია, როგორც: სიმბოლიკა, რომელიც დაკავშირებულია კომუნისტურ ტოტალიტარულ იდეოლოგიასთან და გამოხატავს კომუნისტურ ტოტალიტარულ რეჟიმს.[29]

აღნიშნული კანონით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური კომისია უფლებამოსილ პირს კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი სიმბოლიკის აღმოფხვრის მოთხოვნით მიმართავს[30]. უფლებამოსილი პირის მიერ კომისიის მითითების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება იწვევს უფლებამოსილი პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით[31].

გეორგიევსკის ლენტები საქართველოში 2015 წელს "დიდი სამამულო ომში გამარჯვების დღის 70-ე წლისთავზე[32] აქციის მონაწილეებს დაურიგდათ. ღონისძიების ორგანიზატორი **რუს თანამემამულეთა საერთაშორისო კავშირის "ოტჩიზნას"** ხელმძღვანელი ვალერი სვარჩუკი და გამგეობის წევრი ირინა სვარჩუკი იყვნენ.

ფოტო სპუტნიკ-საქართველო: ვალერი სვარჩუკი

[28] საქართველოს კანონი ,,თავისუფლების ქარტია", მუხლი 1; https://matsne.gov.ge/ka/document/download/1381526/14/ge/pdf
[29] საქართველოს კანონი ,,თავისუფლების ქარტია", მუხლი 2(ვ);
[30] საქართველოს კანონი ,,თავისუფლების ქარტია", მუხლი 6;
[31] საქართველოს კანონი ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", მუხლი 174[16] https://matsne.gov.ge/document/view/28216?publication=424
[32] https://sputnik-georgia.com/video/20150517/227620062.html

“გეორგიევსკის ლენტი[33]”, რომელსაც მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვების სიმბოლოდ იყენებენ, წმინდა გიორგის ორდენის ლენტის ანალოგია. წმინდა გიორგის ორდენი რომელიც ეკატერინე დიდის მმართველობის დროს იქნა შემოღებული, მეფის რუსეთში უმაღლეს საბრძოლო ჯილდოს წარმოადგენდა. 2005 წლამდე გეორგიევსკის ლენტი იშვიათად გამოიყენებოდა, ხოლო 2005 წელს საინფორმაციო სააგენტო RIA Novosti-იმ ის გამოიყენა ინტერნეტ პროექტში, რომელიც ომის შესახებ ოჯახურ მოგონებებს შეეხებოდა. გეორგიევსკის ლენტმა პოლიტიკური მნიშვნელობა მალევე შეიძინა. 2014 წლიდან ის “რუსული სამყაროს” სიმბოლო გახდა: ლენტს ერთი მხრივ “ანტი-მაიდნის” აქტივისტები, ასევე აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის მხარდაჭერილი სამხედროები იყენებდნენ. ამის შემდეგ “გეორგიევსკის ლენტი” პრორუსულ აქციებზე მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში გამოჩნდა. საბოლოოდ “გეორგიევსკის ლენტი” რუსული იმპერიალიზმისა და ოკუპაციის სიმბოლო გახდა. უკრაინელებისთვის გეორგიევსკის ლენტი რუსულ აგრესიასთან ასოცირდება, სწორედ ამიტომ 2017 წელს ის უკრაინაში აიკრძალა[34].

1.3. “აჭარის გათავისუფლებასთან” დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები

გამოცემა “საქართველო და მსოფლიო”-ს ცნობით[35], “ევრაზიულმა კავშირმა” 2016 წლის 25 აგვისტოს ბათუმში გამართა აქცია, რომელიც 1878 წლის 25 აგვისტოს აჭარაში რუსული ჯარის შესვლას და აჭარის ოსმალეთის იმპერიიდან გათავისუფლებას შეეხებოდა. 2015 წელს ბათუმში ბარათაშვილის სკვერში დაიდგა ბანერი, რომელზეც ეწერა , რომ სკვერში “აჭარის გათავისუფლების” მემორიალი დაიდგმებოდა.

2014 წელს **“ევრაზიის ინსტიტუტმა,”** ასევე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ქობულეთის სოფელ ხუცუბნის საძმო სასაფლაო, სადაც რუსი ჯარისკაცების საფლავებია, ნაწილობრივ შეაკეთეს და კეთილმოაწყვეს, შემდეგ **საქმეში აჭარის თანამემამულეთა საზოგადოება (არჩილ გოგიტიძე) ჩაერთო.** საძმო სასაფლაოს კედელზე 2014 წელს დამონტაჟდა დაფა წარწერით: “მადლიერი აჭარა არ დაივიწყებს განმათავისუფლებლებს”[36].

1.4. რუსეთის დღის აღნიშვნა.

რადიო “აფხაზეთის ხმის” ცნობით[37], 2014 წელს ბათუმში თბილისსა და რუსთავში, **რუს თანამემამულეთა საერთაშორისო კავშირ “ოტჩიზნა”-ს** ორგანიზებით რუსეთის დღე აღინიშნა. რუსეთის დღე რუსეთში მთავარი სახელმწიფო დღესასწაულია და 12 ივნისს აღინიშნება. “რადიო თავისუფლების” მიხედვით[38] , 2002 წლამდე ამ დღეს „რუსეთის დამოუკიდებლობის დღე“ ერქვა. ოფიციალურ საიტებზე „რუსეთის დღეს“ უწოდებენ „კანონსა და სამართლიანობაზე დამყარებულ თავისუფლების, სამოქალაქო მშვიდობისა და ყველა ხალხის თანხმობის“ ზეიმს. 12 ივნისს რუსეთის ქალაქებში ამ დღესთან დაკავშირებით ოფიციალური საზეიმო ღონისძიებები იმართება.

1.5 კრემლის პროექტების მხარდამჭერი სხვა ქართველი აქტორები

იკვეთება ფონდ “რუსული სამყაროს” პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლობა კრემლის სხვა აქტორებთან, როგორიცაა „პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი“

[33] https://wapo.st/2LtFGIh
[34] https://bit.ly/2YjHq8N
[35] http://geworld.ge/ge/8723/
[36] https://bit.ly/2HakSAp
[37] https://bit.ly/2vIPaEV
[38] https://www.radiotavisupleba.ge/a/25418975.html

(დიმიტრი ლორთქიფანიძე), ,,ევრაზიული ინსტიტუტი”[39] (გულბაათ რცხილაძე)[40], ,,ისტორიულ მემკვიდრეობობა”(ტარიელ გაგნიძე), ასევე ეთნონაციონალისტურ ჯგუფებთან - პოლიტიკური გაერთიანება “ქართული იდეა” (ლევან ჩაჩუა).

2019 წლის აპრილში თბილისში გაიმართა ღონისძიება "ფაშისტური იდეოლოგიის რეანიმაცია” (“Реанимации Фашистской Идеологии”[41]), რომელზეც საქართველოში კრემლის პოლიტიკის მიმართ საზოგადოებრივი განწყობები რუსოფობიად და ანტირუსულ ისტერიად იყო შეფასებული. როგორც ქვემოთმოცემული ცხრილიდან ჩანს, ღონისძიებაში არა მხოლოდ “რუსული სამყაროს” პარტნიორი ორგანიზაციები, არამედ საქართველოში მოქმედი ულტრანაციონალისტური გაერთიანებების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, რაც კრემლის აქტორებსა და ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს შორის კავშირებზე მიუთითებს.

აღნიშნულ ღონისძიებაზე 9 მაისს “უკვდავი პოლკის” დაგეგმილი მსვლელობის ღონისძიებაზე და მის მნიშვნელობაზე ისაუბრეს, ასევე ხაზი გაუსვეს **ალექსანდრე ქაჭიას**[42] დამსახურებას ამ პროცესში[43]. ალექსანდრე ქაჭია, რომელიც ანტიდასავლური გამოცემა “საქართველო და მსოფლიოს” დამფუძნებელი ორგანიზაცია “ისტორიული მემკვიდრეობის” საზოგადოებრივი საბჭოს წევრია,
2014 წლის 13 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა „მეგობრობის განმტკიცებისა და რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობისთვის, მეცნიერული და კულტურული კავშირების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის“ ღირსების ორდენით დააჯილდოვა[44]. პუტინის დაჯილდოების ბრძანებაში ალექსანდრე ქაჭია ჟურნალ “ისტორიული მემკვიდრეობის” და გაზეთების “ილორი” და “საქართველო და მსოფლიო” გამომცემლად არის მოხსენიებული. აღსანიშნავია, რომ

[39] IDFI-ის 2015 წლის კვლევაში „ევრაზიული ინსტიტუტი“ ფონდ “რუსული სამყაროს” პარტნიორების ნუსხაში ფიგურირებდა და ფონდის მხარდაჭერით რუსული ენის შემსწავლელ კურსებს ახორციელებდა. თუმცა, 2019 წლის 8 მაისის მონაცემებით, ,,ევრაზიული ინსტიტუტი” ,,რუსული სამყაროს” ვებ-გვერდზე მითითებულ ორგანიზაციათა კატალოგში არ იძებნება.
[40] https://www.mythdetector.ge/ka/profile/rtskhiladze-gulbaat
[41] http://pravfond.ge/v2/2019/04/05/vstrecha/#more-2740
https://bit.ly/2PTOSUT
[42] https://www.mythdetector.ge/ka/profile/chachia-aleksandre
[43] https://bit.ly/2IkDgIO
[44] http://static.kremlin.ru/media/acts/files/0001201402130018.pdf

აპრილში გამართული ღონისძიების მონაწილეთა შორის გამოცემა “საქართველო და მსოფლიოს” მიმომხილველები და ბლოგერებიც იყვნენ.

УКАЗ

ПРЕЗИДЕНТА РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ

О награждении государственными наградами Российской Федерации иностранных граждан

За большой вклад в укрепление дружбы и сотрудничества с Российской Федерацией, развитие научных и культурных связей наградить:

ОРДЕНОМ ПОЧЕТА

ЧАЧИЮ Александра Александровича - председателя народного движения "Самегрело" ("Мегрелия"), издателя журнала "Историческое наследие", газет "Илори" и "Грузия и мир", Грузия.

ცხრილი 2. შეხვედრის “ფაშისტური იდეოლოგიის რეანიმაცია” მონაწილეები

	დიმიტრი ლორთქიფანიძე	„პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის“ ხელმძღვანელი
	ლევან ჩაჩუა	პ/გ,,ქართული იდეის” თავმჯდომარე

	თემურ ფიფია	პ/გ საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის წევრი, „სახალხო მოძრაობა სოციალისტური საქართველოს“ დამფუძნებელი
	ალექსანდრე ბეჟენცევი	,,საქართველოს რუს ახალგაზრდათა კავშირის” თავჯდომარე
	დიმიტრი ბრეგვაძე	,,საქართველოს რუს ახალგაზრდათა კავშირის”თავმჯდომარის მოადგილე
	გულბაათ რცხილაძე	,,ევრაზიული ინსტიტუტის” დამფუძნებელი

	თეიმურაზ მაკარიძე	სახალხო სამამულო მოძრაობის ,,Народно-патриотическое движение” წევრი
	კონსტანტინე ჩიკვილაძე	,,საქართველო და მსოფლიოს” ინტერნეტ გამოცემის მიმომხილველი
	გივი ვანიშვილი	ვიცე-პოლკოვნიკი
	ვიქტორ ცაავა	ისტორიკოსი, “საქართველო და მსოფლიოს” ბლოგერი

ფოტო: საქართველო და მსოფლიო

1.6. მედია პარტნიორები

კრემლის პოლიტიკის მხარდამჭერ აქტივობებში ჩართული ორგანიზაციების საქმიანობას აქტიურად აშუქებენ შემდეგი კრემლისტური მედია საშუალებები: ,,საქინფორმი[45]", ,,საქართველო და მსოფლიო"[46], ,,სპუტნიკ-საქართველო"[47], პატრიოტი TV[48] და მედიაპორტალი "პირველი სლავური[49].

[45] http://mediameter.ge/ge/media-profiles/sakinpormi
[46] http://mediameter.ge/ge/media-profiles/sakartvelo-da-msoplio
[47] http://mediameter.ge/ge/media-profiles/sputniki-sakartvelo
[48] http://mediameter.ge/ge/media-profiles/patrioti-tv
[49] მედიაპორტალი "პირველი სლავურის"(''Первый Славянский), რომელიც ,,რუსკი მირის" პარტნიორი# ორგანიზაციაა, მფლობელია საქართველოს სლავ ხალხთა ეროვნული კონგრესის პრეზიდენტი ლიკა ზახაროვა. http://firstslavic.ge/

II. კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობები

ფონდ "რუსული სამყაროს" მიერ განხორციელებული **საგანმანათლებლო/კულტურული** აქტივობები ძირითადად რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღების შესაძლებლობას, რუსული ენის შემსწავლელი უფასო კურსების ორგანიზებას, კულტურული და ლიტერატურული საღამოებისა და კონფერენციების ორგანიზებას, ჟურნალ-გაზეთების გამოცემას და სხვა ღონისძიებებს აერთიანებს.

2.1 რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღება

რუსეთში უმაღლესი განათლების მხარდამჭერ პროექტების შესახებ ინფორმაციას კრემლის დაფუძნებულ მედია საშუალებებში[50] **რუსული კლუბისა** და **რუსი თანამემამულეების საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი** ნიკოლოზ სვენტიცკი ავრცელებს.
სვენტიცკის ინფორმაციით, ამჟამად რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოდან დაახლოებით 500 სტუდენტი სწავლობს. 2019 სასწავლო წელს კი საქართველოსთვის 120 ადგილია გამოყოფილი[51]. სახელმწიფო პროგრამა სრულად ფარავს სწავლის ხარჯებს.

რუსეთის მთავრობის პატრონაჟით საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოში განხორციელებაში ასევე ჩართულია თანამემამულეთა საერთაშორისო კავშირი "ოტჩიზნა" და ფედერალურ სააგენტო "როსსოტრუდნიჩესტვო" (РОССОТРУДНИЧЕСТВО - Федеральное агентство по делам Содружества Независимых Государств, соотечественников, проживающих за рубежом, и по международному гуманитарному сотрудничеству)[52].

ფოტო სპუტნიკ-საქართველო: ნიკოლოზ სვენტიცკი

[50] http://korsovet.ge/ksorsg/ucheba-3/
https://bit.ly/2JpAgeO
[51] https://sputnik-georgia.ru/society/20190206/244228871/Kak-postupit-v-rossiyskiy-vuz-informatsia-dlya-studentov-iz-Gruzii.html
[52] http://geworld.ge/ge/6983/
https://sputnik-georgia.com/radio/20150218/217384763.html

2.2. რუსული ენის შემსწავლელი უფასო პროექტი "Русский уголок"

ფოტო სპუტნიკ-საქართველო: რევაზ გოგიძე, ლიკა ზახაროვა

სპუტნიკ-საქართველოს ცნობით[53], 2015 წლის სექტემბერში **სლავ ხალხთა ეროვნულმა კონგრესმა** რუსული ენის შემსწავლელი უფასო პროექტი "Русский уголок" (რუსული კუთხე) დაიწყო. აღნიშნული პროგრამა ლიკა ზახაროვას ხელმძღვნელობით ხორციელდება, პროექტის დამფინანსებელი კი ,,რუსეთის მშვიდობის ფონდია" ("Российски фонд мира"), რომლის წარმომადგენელი ასევე ლიკა ზახაროვაა.

2.3. სათემო გამოცემები ("რუსული კლუბი")

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალს ,,რუსსკი კლუბ" ("რუსული კლუბი") პროექტის ხელმძღვანელია ნიკოლოზ სვენტიცკი. პროექტი ხორციელდება ***ფონდ "ქართუს"***, ***ფონდ "რუსული სამყაროს"*** და ***ვითიბი ბანკის*** მხარდაჭერით. ჟურნალის ვებ-გვერდზე[54] მხარდამჭერი ორგანიზაციების ბანერებიც არის განთავსებული. ასევე განთავსებულია კომპანია **"სარაჯიშვილის"** ბანერიც.

[53] https://sputnik-georgia.ru/society/20150921/228579465.html
[54] http://www.rcmagazine.ge/


Русский клуб
ГЛАВНАЯ
ЖУРНАЛ
УГОЛ ЗРЕНИЯ
ПАМЯТНЫЕ ДАТЫ
ДОСУГ
НАШИ ДРУЗЬЯ
О НАС
КОНТАКТЫ
УЧАСТНИК КОНКУРСА
Журналы
Номера
Рекомендуем
№10
Стр. 16
ОСТРОВ ВАЛЕРИЯ ХАРЮТЧЕНКО
70
УГОЛ ЗРЕНИЯ
Журналист Владимир Гонтмен делится своим мнением о том, что происходит с нами и вокруг нас.
Рубрики
Трибоедовскому театру
170
LIKE us on facebook
Тбилиси, 2013
Концерт, посвященный 75-летию Владимира Высоцкого
Арсен Еремян
Позови меня как сына
SARAJISHVILI
CARTU
ФОНД РУССКИЙ МИР
ВТБ

ნეტგაზეთმა ,,რუსული კლუბის" საიუბილეო ღონისძიების შესახებ გამოაქვეყნა მასალა[55], სათაურით "Русский Мир"-ისა და ივანიშვილის ფონდის მიერ დაფინანსებული ჟურნალი იუბილეს ზეიმობს (2014წ.), რომლის მიხედვითაც, ჟურნალ "Русский Клуб"-ის მე-100 ნომრის აღსანიშნავად, 20 მარტს კომპანია „სარაჯიშვილის" მიღებათა დიდ დარბაზში საზეიმო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ფონდი "Русский Мир" და ბიძინა ივანიშვილის ფონდი "ქართუ" აფინანსებდნენ.

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ "რუსული კლუბის" ხელმძღვანელი ნიკოლოზ სვენტიცკი "რუსული სამყარო"-სა და ივანიშვილის ფონდის მიერ გარკვეული აქტივობების დაფინანსებას რადიო "კომერსანტთან" ინტერვიუშიც ადასტურებს[56].

საქინფორმის ცნობით, რუსული კლუბის 10 წლის იუბილე და ჟურნალ „რუსული კლუბის" მეასე ნომრის გამოშვება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებითა და მარიამ ოსიტაშვილის ორგანიზებით 2014 წლის 19 თებერვალს[57] რუსული რომანსის კონცერტით **"Это было недавно"** აღინიშნა.

ჟურნალი ,,რუსული კლუბი" ,,დსთ"-ის ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა საერთაშორისო კინოსკოლის მხარდამჭერია, რომელიც 2019 წელს ბათუმში გაიმართა[58].

[55] http://netgazeti.ge/culture/30249/
[56] https://commersant.ge/ge/post/ruski-klubi-diax-fondi-qartu-wlebia-gvexmareba
[57] https://bit.ly/2BAqD8H
[58] https://bit.ly/2vKZCf0

III. პროფილები

НАЦИОНАЛЬНЫЙ КОНГРЕСС СЛАВЯНСКИХ НАРОДОВ ГРУЗИИ-საქართველოს სლავ ხალხთა ეროვნული კონგრესი

Национальный конгресс славянских народов Грузии
@slavyanskiy.kongress

რეგისტრაციის თარიღი:16.08.2013
ორგანიზაციის პრეზიდენტი: ანჟელიკა ზახაროვა
გამგეობის წევრები: რევაზ გოგიძე, ნატო ბონდარენკო და ვიქტორ ვასილევი
საქმიანობის მიზნები:

- საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართულ და სლავურ დიასპორებთან ურთიერთობის განმტკიცება;
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნვა;
- სლავურ უმცირესობათა ინტეგრაცია სახელმწიფო სტრუქტურებში;
- უმცირესობათა ენის დაცვა;
- რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდაჭერა და მასთან მჭიდრო თანამშრომლობა.

ვებ-პლატფორმა: გვერდი ფეისბუკში, რომელსაც 957 გამომწერი ჰყავს.[59]
კავშირები: ანჟელიკა ზახაროვა მედია პორტალ «ПЕРВЫЙ СЛАВЯНСКИЙ»-ის[60] დირექტორია. ის ასევე ორგანიზაცია “მრავალეროვნული საქართველოს რუს და რუსულენოვან თემთა კონგრესის” დირექტორიცაა, რომლის გამგეობის წევრი აგრეთვე რევაზ გოგიძეა, რომელიც თავის მხრივ, მრავალეროვნულ საქართველოს ანტიფაშისტური კოალიციის დირექტორია. ლიკა ზახროვა ასევ რუსეთის მშვიდობის ფონდის ("Российский фонд мира") წარმომადგენელია. რუსეთის მშვიდობის ფონდი[61] საბჭოთა მშვიდობის ფონდის მემკვიდრეა. 2002 წლის ივნისში რუსეთის ფედერაციის მშვიდობის ფონდის საბჭოს თავმჯდომარედ რუსეთის ფედერაციის დუმის დეპუტატი, ლეონიდ სლუცკი აირჩიეს. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის სახელით, დუმის კომიტეტის თავმჯდომარემ ლეონიდ სლუცკიმ ,,რუსული სამყაროს” დაფუძნების 10 წლისთავზე[62] საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს მიმართა. საიუბილეო ღონისძიებას - "რუსული სამყარო: აწმყო და მომავალი", რომელიც კრემლის სასახლეში 2017 წლის ივნისში ჩატარდა, ლიკა ზახაროვაც ესწრებოდა. ღონისძიება ვლადიმერ პუტინის მისასალმებელი სიტყვით[63], პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა გახსნა.

[59] https://www.facebook.com/slavyanskiy.kongress/
[60] http://firstslavic.ge/
[61] http://www.peacefond.ru/
[62] https://russkiymir.ru/international-conference-russian-world-present-and-future/
[63] https://russkiymir.ru/the-fund-russian-world-10-years/pdf/Pozdravlenie_Putin.pdf

СОЮЗ РУССКОЙ МОЛОДЕЖИ ГРУЗИИ- საქართველოს რუს ახალგაზრდათა კავშირი

რეგისტრაციის თარიღი: 11.10.2004
ორგანიზაციის თავმჯდომარე: ალექსანდრე ბეჟენცევი
გამგეობის წევრები: ალექსანდრე მირიმანოვი, ალლა ბეჟენცევა, ჯიმშერ ბიტკაში და დიმიტრი ბრეგვაძე
საქმიანობის მიზნები:

- ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთანამშრომლობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ყოველმხრივი განვითარება.

ვებ-პლატფორმა: http://pravfond.ge, გვერდი ფეისბუკში, რომელსაც 1,772 გამომწერი ჰყავს.[64]
კავშირები: ალექსანდრე ბეჟენცევი აგრეთვე რუსი თანამემამულეების საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანია და ხელმძღვანელობს საქართველოს რუს თანამემამულეთა სამართლებრივი დაცვის ცენტრს. ორგანიზაციის გამგეობის წევრი და იურისტი დიმიტრი ბრეგვაძეა. სამართლებრივი დაცვის ცენტრს აფინანსებს საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების დაცვისა და მხარდაჭერის ფონდი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა და მუშაობა 2012 წლის 1 იანვარს დაიწყო. ფონდის დამფუძნებლები არიან რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ფედერალური სააგენტო „როსსოტრუდნიჩესტვო“.[65]

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი რუსული კლუბი МЕЖДУНАРОДНЫЙ КУЛЬТУРНО-ПРОСВЕТИТЕЛЬСКИЙ СОЮЗ «РУССКИЙ КЛУБ»

რეგისტრაციის თარიღი: 10.10.2003
ორგანიზაციის პრეზიდენტი: ნიკოლოზ სვენტიცკი
გამგეობის წევრები: ვერა წერეთელი (რუსეთის ფედერაცია), ვალერი ხარიუტჩენკო, ალლა ბეჟენცევა და ავთანდილ ვარსიმაშვილი.
საქმიანობის მიზნები: რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა.
ვებ-პლატფორმა: ვებ-გვერდი http://www.rcmagazine.ge და გვერდი ფეისბუკში, რომელსაც 3,044 გამომწერი ჰყავს.
კავშირები: ნიკოლოზ სვენტიცკი გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის დირექტორიცაა. სწორედ გრიბოედოვის თეატრის სივრცეში მდებარეობს ,,რია ნოვოსტის” ოფისიც.
2016 წელს სცენტიცკის როგორც საქართველოში, ისე რუსეთში დამსახურებისთვის ჯილდოები გადაეცა. საქართველოში - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სპეციალური ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“ გადაეცა, ხოლო რუსეთში 2016 წლის 29 იანვარს ნიკოლოზ სვენტიცკის ასევე რუსეთის ფედერაციის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.[66]

[64] https://www.facebook.com/SouzRusskojMolodeziGruzii/

[65] ფონდ „ლიბერალური აკადემია - თბილისის“ კვლევა, ლიბერალი, 25 იანვარი, 2016.
http://liberali.ge/news/view/20408/kvleva-dasavletis-diskreditatsiis-miznit-saqartveloshi-rusuli-fondebi-gaaqtiurdnen

[66] https://sputnik-georgia.com/culture/20161121/233892069/nikoloz-sventickis-jildo-xelovnebis-qurumi-gadaeca.html

ნიკოლოზ სვენტიცკი საქართველოს რუსი თანამემამულეების ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოს[67] თავმჯდომარეცაა. ორგანიზაციის საქმიანობის მიზანია საქართველოში მცხოვრები რუსი თანამემამულეების ეთნოკულტურული იდენტობის შენარჩუნება და საქართველოს რუსულენოვან თემთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა. საბჭოში შედის 21 ორგანიზაცია[68], რომელთა დიდი ნაწილი "რუსული სამყაროს კატალოგში შემავალი ორგანიზაციებია".

СОЮЗ РОССИЙСКИХ СООТЕЧЕСТВЕННИКОВ В ГРУЗИИ «ОТЧИЗНА» საქართველოში რუს თანამემამულეთა საერთაშორისო კავშირი "ოტჩიზნა"

რეგისტრაციის თარიღი: 23.06.2016
ორგანიზაციის პრეზიდენტი: ვალერი სვარჩუკი
გამგეობის წევრები: ირინა სვარჩუკი, ვერა კუზნეცოვა, ალექსანდრა ანისიმოვა და გია ტომაში
საქმიანობის მიზნები:

- რუსეთის მოქალაქეთა და და საქართველოს რუსულენოვანი მოსახლეობის თანამემამულეთა გაერთიანება და ,,სახალხო დიპლომატიის" დამატებითი სახსრების შექმნა;
- საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური კავშირების განვითარებისა და გაღრმავების ხელშეწყობა.

ვებ-პლატფორმა: გვერდი ფეისბუკში, რომელსაც 820 გამომწერი ჰყავს.
კავშირები: ვალერი სვარჩუკი პარტია "ქართული იდეის"[69] მხარდამჭერია, რომელიც თავის მხრივ, ანტიდასალური რიტორიკით გამოირჩევა. სვარჩუკსა და ქართული იდეის თავჯდომარის ერთობლივი ბრიფინგის თაობაზე ინფორაციას სპუტნიკ-საქართველო აქვეყნებდა[70]. ბრიფინგი საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიასა და ამჟამინდელ მდგომარეობას ეხებოდა.[71] ვალერი სვარჩუკი მედვედევმა პუშკინის სახელობის ორდენით დააჯილდოვა.[72]

[67] http://korsovet.ge/
[68] http://korsovet.ge/org/
[69] http://mythdetector.ge/ka/profile/kartuli-idea
[70] https://sputnik-georgia.com/pressclub/20151020/228837367.html
[71] https://sputnik-georgia.com/society/20151021/228849348.html
[72] http://www.vesti.ru/doc.html?id=404628&tid=85033

ირინა სვარჩუკი, რომელიც რუს თანამემამულეთა საერთაშორისო კავშირის "ოტჩიზნა" გამგეობის წევრია, თავის მხრივ ხელმძღვანელობს ორგანიზაციას - საერთაშორისო ჰუმანიტარულ-საქველმოქმედო საზოგადოება "ნადეჟდა".

აჭარის ქართულ-რუსული ურთიერთობების ასოციაცია - რუს თანამემამულეთა საზოგადოება აჭარაში
Ассоциация Грузино-Российских взаимосвязей Аджарии - Общество соотечественников России в Аджарии (Батуми)

რეგისტრაციის თარიღი: 23.05.2016
ორგანიზაციის დირექტორი: არჩილ გოგიტიძე
საჯარო აქტივობები:

- ევრაზიულ ინსტიტუტთან ერთად "აჭარის გათავისუფლებასთან" დაკავშირებით განხორციელებულ აქტივობებიში ჩართულობა (2016 წ.)

მედია მხარდაჭერა: საქართველო და მსოფლიო